

შპს ელიტური სკოლა „გორდა“

შეთანხმებულია

პედაგოგიურ საბჭოსთან

სხდომის ოქმი N 2 ; 10 სექტემბერი, 2021 წელი

„ვამტკიცებ:“

სკოლის დირექტორი:  ნინო მურვანიძე

10.09.2021 წელი



დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა

ქ. ბათუმი, 2021 წელი

შპს ელიტური სკოლა „გორდა“

შესავალი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბერის №95/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმას ადგენს სკოლა, სკოლის დირექციის, ადმინისტრაციისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების (საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო) ჩართულობით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სკოლის დირექციის, საგნობრივი კათედრების და პედაგოგიური საბჭოს, ჩართულობით მომზადებული იქნა დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დისტანციური სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვა.

1. დისტანციური სწავლება და განხორციელებელი ღონისძიებები

1. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, სკოლა სწავლებას ახორციელებს დისტანციური/ელექტრონული ფორმით, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით;

2. დისტანციური სწავლების პერიოდში გამოიყენება ტექსტური, ვიდეო, აუდიო მასალა, ამასთან, ელექტრონული სახით გადმოიცემა ტრადიციული სწავლების სხვადასხვა ფორმა:

- პრაქტიკული სამუშაოები;
- დისკუსიები, გუნდური სამუშაოები, ინტერვიუები, სიმულაციები, როლური თამაშები;
- დავალებები, ტესტები, ელექტრონული გამოკითხვები.

3. სასწავლო ამოცანები, სასწავლო აქტივობები ისე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ სათანადო ცოდნა.

4. დისტანციური სწავლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნეს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება, სწავლების ელექტრონული პლატფორმა (Edu Page); მათ შორის სოციალურ ქსელი (Facebook), ZOOM პლატფორმა, ტელე და საშინაო სკოლის რესურსები. სოციალურ ქსელში შეიძლება შეიქმნას ჯგუფები კლასებისა და საგნების მიხედვით, აღნიშნული ჯგუფების ადმინისტრირებას ახორციელებს კლასის დამრიგებელი. ასევე, შესაძლოა შეიქმნას ჯგუფები მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაწილეობით, მათთან აქტიური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით. პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო პროცესში ჩართულმა პირებმა თავი უნდა

შპს ელიტური სკოლა „გორდა“

შეიკავონ სოციალურ ქსელში ონლაინ სასწავლო პროცესის, ონლაინ შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის გავრცელებისაგან.

5. მოსწავლეებთან დისტანციური მუშაობის დროს გათვალისწინებული იქნას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და სხვა გარემოებები.

6. კლასების დამრიგებლების, საგნის მასწავლებლებისა და მშობლების როლი დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათი ჩართულობის გარეშე აღნიშნული ფორმით სასწავლო პროცესის განხორციელება ნაკლებ ეფექტური იქნება, შესაბამისად:

ა) დისტანციური სწავლების პროცესში სკოლის ადმინისტრაცია, ყველა კლასის დამრიგებელი ვალდებულია იქონიოს კომუნიკაცია სადამრიგებლო კლასთან და მოსწავლეთა მშობლებთან.

ბ) სკოლის დირექტორის მოადგილეებმა უზრუნველყონ გადანაწილებული ჯგუფების მიხედვით, საგნის მასწავლებლების და კლასის დამრიგებლების მუშაობის კოორდინაცია და მონიტორინგი.

7. დისტანციური სწავლების პერიოდში შედგენილი უნდა იყოს დისტანციური სწავლების გრაფიკი, გაკვეთილების ცხრილი, სასკოლო საათობრივი ბადე (სინქრონული სწავლების დროს) და მის შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს დირექტორის მოადგილემ, სასწავლო დარგის მენეჯერმა მაია სიხარულიძემ.

2. დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება

სკოლა დისტანციური სწავლების დროს იყენებს სინქრონული ელექტრონული სწავლების ფორმას(კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში სწავლება შესაძლოა განხორციელდეს ასინქრონული ან/და ჰიბრიდული სწავლების ფორმით), სინქრონული ელექტრონული სწავლებისას სკოლის მიერ შედგენილი დროებითი სასკოლო საათობრივი ბადის შესაბამისად მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2021-2022 სასწავლო წელს ქვეყანაში გავრცელებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი) 2021 წლის 4 ოქტომბრამდე სასწავლო პროცესი უნდა განახორციელონ მხოლოდ დისტანციური

შპს ელიტური სკოლა „გორდა“

სწავლებისა და, საჭიროების შემთხვევაში, კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით.

2021 წლის 04 ოქტომბრამდე სკოლაში სასწავლო პროცესი წარმართება სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში ელექტრონული პლატფორმის Edu Page გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას

გარდა ამისა, დისტანციური სწავლების დროს გამოყენებული იქნება სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებთან მუშაობა მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად (წინასწარ ჩაწერილი ვიდეოგაკვეთილები, მულტიმედიური რესურსები), ასევე სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომელთა შესრულების შემდეგ მოსწავლე სისტემისგან ავტომატურად იღებს შეფასებასა და უკუკავშირს და ა.შ.

დისტანციური სწავლების დღის რეჟიმი და საათობრივი ბადე

ზოგადად, დისტანციურ სასწავლო პროცესში მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ონლაინ გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა იქნება შემდეგი:

I-IV კლასებში – 15-20 წუთი;

V-IX კლასებში – 25-30 წუთი;

X-XII კლასებში – 35-40 წუთი.

დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილი დაიგეგმება იმგვარად, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას სხვადასხვა ინტერაქტიული ტექნიკა, მათ შორის, 10-15-წუთიანი შესვენება ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად შეიძლება ჩატარდეს თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანიდან მზერის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის 5-6-ჯერ დახამხამება.

2021 წლის 15 სექტემბრიდან 04 ოქტომბრამდე და, ასევე, შემდგომში სრულად დისტანციური სწავლების შემთხვევაში, სასწავლო პროცესი განხორციელდება შემდეგი დღის რეჟიმით:

შპს ელიტური სკოლა „გორდა“

II- IV კლასები			
გაკვეთილი	შესვლის დრო	გამოსვლის დრო	გაკვეთილის ხანგრძლივობა
I	10:00	10:35	35 წუთი
II	10:45	11:20	35 წუთი
III	11:30	12:05	35 წუთი
IV	12:15	12:50	35 წუთი
V	13:00	13:35	35 წუთი

V-XII კლასები			
გაკვეთილი	შესვლის დრო	გამოსვლის დრო	გაკვეთილის ხანგრძლივობა
I	10:00	10:35	35 წუთი
II	10:45	11:20	35 წუთი
III	11:30	12:05	35 წუთი
IV	12:15	12:50	35 წუთი
V	13:00	13:35	35 წუთი
VI	13:45	14:20	35 წუთი

დისტანციური გაკვეთილების ჩატარება სავალდებულოა მთელი საკლასო ჯგუფისთვის, შესაბამისად, სკოლა გამოყოფს პასუხისმგებელ პირებს, რომელთაც ევალებათ უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენება, რათა არც ერთი მოსწავლე არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს თანაკლასელებს სწავლაში.

სკოლის ფსქოლოგი და ინკლუზიურ სასწავლო პროცესში ჩართული პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ სკოლის სივრცეში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, მათი საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი მომსახურების მიწოდება, ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის მის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლისა და საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ინკლუზიური განათლების დამატებითი სპეციალისტების ჩართულობით.

სასწავლო პროცესში ჩართული ყველა პირი ვალდებულია დისტანციური სწავლებისას დაიცვას თითოეული მოსწავლის საუკეთესო ინტერესები, პერსონალური მონაცემები და მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები.

შპს ელიტური სკოლა „გორდა“

4. დისტანციურ სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო რესურსები

1. სკოლაში დისტანციური სწავლების დროს საგნის ყველა მასწავლებელი ვალდებულია თემების/თემატური ერთეულების და კომპლექსური დავალებების მეშვეობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი.

2. ეროვნულ სასწავლო გეგმაში რიგი საგნებისთვის მოცემულია სავალდებულო თემები (მაგ., საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებები), ხოლო რიგ საგნებში ისინი თავად მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს (მაგ., ხელოვნებაში, მუსიკაში, უცხოურ ენებში, ქართულში) სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

3. დისტანციური სწავლებისას სასწავლო რესურსად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები, სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის დამხმარე ელექტრონული რესურსები, მასწავლებლის, მოსწავლეების, შესაბამისი სპეციალისტების მიერ მომზადებული ელექტრონული რესურსები და სხვა;

4. კომპლექსური დავალებების შედგენა, მათი მეშვეობით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და შეფასება წარმოებს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ სკოლისთვის მიწოდებული მეთოდური რეკომენდაციებისა და საგნობრივი გზამკვლევების შესაბამისად.

5. მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის წესი

1. სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა დისტანციურ გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალს, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ დისტანციური გაკვეთილის გაცდენის მიზეზები და იმ შემთხვევაში, თუ:

ა) აღნიშნული გამოწვეულია მოსწავლის მხრიდან შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის (მოწყობილობისა და ინტერნეტთან წვდომის) არქონით, ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს და პრობლემის მოგვარებამდე მასწავლებელთა ჯგუფთან ერთად ინდივიდუალურად განიხილოს არსებული შესაძლებლობები და დაგეგმოს ალტერნატიული ღონისძიებები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად.

ბ) მოსწავლესთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან კავშირის დამყარება ვერ ხერხდება და უცნობია გაკვეთილებზე დაუსწრებლობის მიზეზები, სკოლამ უნდა იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სკოლა შენობაში გამოყოს შესაბამისი სივრცე მასწავლებლისთვის დისტანციური გაკვეთილის ჩასატარებლად იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მასწავლებელი ვერ ახერხებს სახლიდან ჩართვას;

ბ) მასწავლებელს არ გააჩნია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა/ინტერნეტი.

შპს ელიტური სკოლა „გორდა“

6. დისტანციური სწავლების შეფასება

სკოლაში დისტანციური სწავლების დროს მოსწავლეთა შეფასება წარმოებს, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ფორმით ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

7. სკოლის კოლეგიური ორგანოების და დასაქმებულთა საქმიანობის წესი

1. სკოლის კოლეგიური ორგანოების (პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრა მოსწავლეთა თვითმმართველობა) საქმიანობა განხორციელდეს დისტანციურად, ადმინისტრაციული წარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით (გადაწყვეტილებების მიღებისათვის კვორუმის დადგენა, ხმის მიცემა, ოქმის წარმოება და სხვა);

2. სკოლაში დასაქმებულმა სხვა პირებმა გააგრძელონ საქმიანობა დისტანციურ რეჟიმში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული პოზიციის/თანამდებობის პირის სკოლის ტერიტორიაზე ყოფნა/გამოცხადება დაკავშირებულია ამ პოზიციის/თანამდებობის სპეციფიკასთან. ამ პირების მიერ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.

8. დისტანციური სწავლების წარმართვა

სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბერის №95/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი“ მიხედვით.